საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 80
16/09/2015

80-06-4-201509161812

განკარგულება N 80

ქ. ოზურგეთი
2015წ 16 სექტემბერი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 (ორი) ერთეული ზღვის ნაპირის გამწმენდი აღჭურვილობა BeachTech 3000; 2 (ორი) ერთეული ზღვის ნაპირის გამწმენდი აღჭურვილობა BeachTech Marina (გაზონის საკრეჭი-1ც, გზის საწმენდი ჯაგრისი - 1ც, ფარცხი - 1ც და საწმენდი დანა -1ც); 2 (ორი) ერთეული ტრაქტორი John Deere 6110B და 2 (ორი) ერთეული ტრაქტორი John Deere 6095B-ის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“-სთვის უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით თხოვების ფორმით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო